თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2026 წლის 3 ივნისი
მორიგი სხდომის
ოქმი № 9

ქ. თერჯოლა

3 ივნისი 2026 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: 1.სოსო ჩაფიჩაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. სერგი ჯიხვაშვილი, 5. გოჩა ვერულაშვილი, 6. გიორგი ბარათაშვილი, 7. ბადრი ბუცხრიკიძე, 8. ბიძინა ბუცხრიკიძე, 9. ნინო ოქრუაძე, 10. ზურაბ ჩხიკვაძე, 11. ლაშა ლანჩავა, 12. ეკა ბერძენიშვილი, 13. ომარ ჯიხვაშვილი , 14. ლაშა გურგენიძე, 15. ნინო მახათაძე, 16. მაკა ყიფშიძე, 17. გიორგი ბრეგაძე, 18.ნოდარი ხოხიაშვილი, 19.გიორგი თურქაძე, 20.ერეკლე კირკიტაძე, 21. გრიგოლ გიორგაძე, 22. მამული კოვზირიძე, 23. გიორგი ყაზაიშვილი, 24. გიორგი ქასრაშვილი, 25. რამაზი ლორთქიფანიძე, 26. მირზა აფრიდონიძე, 27. მანუჩარ ფანჩულიძე, 28. გიორგი ბერეკაშვილი. 29. თემური ქოჩიაშვილი, 30. ნატო კვეტენაძე, 31. ჯანო რობაქიძე, 32. ელისო მურადაშვილი, 33. იუზა უგრეხელიძე, 34. შალვა ჭანკვეტაძე, 35. ვლადიმერ მაკარიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 35 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 35 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 35 წევრი
კვორუმი: 18 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი - მანუჩარ რობაქიძე;
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები - ზვიად ბაზაძე, მირზა ქოჩიაშვილი.
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები.

სხდომა დაიწყო 11 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 11 ⁴⁵სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 1 აპრილის №გ-29.2926091001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2826614986, 29.05.2026 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თანხმობა მერს, გამოაცხადოს ელექტრონული აუქციონი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ ქვედა სიმონეთში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2954 კვ.მ. მიწის ნაკვეთის(ს.კ.33.05.36777) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით 2(ორი) წლის ვადით გასხვისებაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282615210, 01.06.2026 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282614964, 29.05.2026 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

4. ,,საქართველოს კანონით ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით ,,ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინააარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282614964, 29.05.2026 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხს.: დ. გოგბერაშვილი

6. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №g-29.292601420 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282614963, 29.05.2026 წ.);

მომხს.: ლ.ლანჩავა

7. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვთა ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №g-29.292601418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282614963, 29.05.2026 წ.);

მომხს.: ლ.ლანჩავა

8. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების 2026 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №g-29.29260149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282615240, 01.06.2026 წ.).

მომხს.: ლ.ლანჩავა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -35, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 1 აპრილის №g-29.2926091001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი- საპრივატიზებო ნუსხას ემატება 2 უძრავი ქონების ობიექტი და მეორადი სამშენებლო მასალა, რ/ბ ღრუტანიანი ფილა/სინკარი (32 ცალი).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-35, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 1 აპრილის №გ-29.2926091001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ.29.29261545. 03.06.2026 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი - მიეცეს თანხმობა მერს, გამოაცხადოს ელექტრონული აუქციონი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ ქვედა სიმონეთში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2954 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს.კ.33.05.36777) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით 2(ორი) წლის ვადით გასხვისებაზე. ერთი წლის საწყისი საიჯარო თანხა განისაზღვრება 1600 ლარით, შესაბამისად ორი წლის საწყისი საიჯარო თანხა ჯამში შეადგენს 3200 ლარს.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-34, წინააღმდეგი-1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თანხმობა მერს, გამოაცხადოს ელექტრონული აუქციონი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ ქვედა სიმონეთში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2954 კვ.მ. მიწის ნაკვეთის(ს.კ.33.05.36777) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით 2(ორი) წლის ვადით გასხვისებაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ.29. 29261544. 03.06.2026 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი - დადგენილების პროექტის მიღების მიზანია თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის, ყოლის, გადადგილებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების წესების განსაზღვრა, აგრეთვე უპატრონო და უკონტროლო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება.

აზრი გამოთქვეს: ვლადიმერ მაკარიძე.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 34, წინააღმდეგი - 1.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №51. 03.06.2026 წ.)

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძე საკრებულოს წევრებს გააცნო ,,საქართველოს კანონით ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით ,,ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინააარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურს ენიჭება უფლებამოსილება, შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დარღვევასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -35, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,საქართველოს კანონით ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით ,,ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინააარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება № 52. 03.06.2026 წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა მუნიციპალური საბჭოს თავჯდომარემ დავით გოგბერაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -35, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ.29.29261546. 03.06.2026 წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავჯდომარემ ლაშა ლანჩავამ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.292601420 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - ცვლილება შეეხება განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფში შემავალ დიაგნოზებს (F84-F 84.9) აგრეთვე პროგრამაში ჩართული/ჩასართავი ბენეფიციარის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციას. პროექტით გათვალისწინებულია ADOS/LAP(ASQ-3) და სხვა შესაბამისი ტესტირების შედეგების პროგრამაში ინტეგრირება, რაც უზრუნველყოფს ბენეფიციართა საჭიროებების უფრო ზუსტს, ობიექტურ და ეფექტიან იდენტიფიცირებას, ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებას და შესაბამისი სოციალური მხარდაჭერის მიზნობრივ განხორციელებას. ცვლილების მიზანია პროგრამის ადმინისტრირების სრულყოფა, სერვისის ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესება. ცვლილება არ აუარესებს ბენეფიციართა სამართლებრივ მდგომარეობას, არ გამოიწვევს პროგრამის ბიუჯეტის ზრდას.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -35, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.292601420 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ.29. 29261543. 03.06.2026 წ.).

7.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავჯდომარემ ლაშა ლანჩავამ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვთა ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.292601418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი- 2026 წლის 18 მარტის № 41 დადგენილებით ბავშვის დაცვისა

და მხარდამჭერის განყოფილება გამოეყო მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს და შეურთდა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს, შესაბამისად განკარგულების მეხუთე მუხლში ჩაიწერება ,, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება".

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -35, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვთა ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.292601418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება. №გ.29. 29261542. 03.06.2026 წ.).

8.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავჯდომარემ ლაშა ლანჩავამ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების 2026 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.29260149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი- 10 000 ლარით იზრდება პროგრამით განსაზღვრული ერთი ინდივიდუალური სახლის მშენებლობა და გახდა 60 000ლარი (დაბალი ფასის გამო ტენდერი ორჯერ ჩაიშალა), ხოლო პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი გახდა 430 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -35, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების 2026 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.29260149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ.29. 2926154001. 03.06.2026 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, სოსო ჩაფიჩაძემ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 3 ივნისის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
სოსო ჩაფიჩაძე